ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 37241162**

თარიღი:**25/04/2024**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 23 აპრილის Nბ37.3724114001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 25 აპრილს გამართულ სხდომაზე მიღებული (ოქმი N10 ) საოქმო გადაწყვეტილების გათვალისწინებით

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :***

**1.** შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 23 აპრილის Nბ37.3724114001 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ნაცვლად 2024 წლის 26 აპრილისა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 30 აპრილს 16:00 საათზე (მის. ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი).“.

**2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

**3.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი